

ახალი თაობა



ევროპის ლიგა ეკვატორს უახლოვდება



სტატისტიკა, ფსონები

ფენერბახჩე-აიაქსი	2.2	3.4	3.2	დნიპრო-სტეტიენი	2.05	3.25	3.8
მიოლდე-სელტიკი	2.87	3.25	2.5	ლაციო-რუსენბორგი	1.44	4.33	7.5
ლივერპული-რუბინი	1.53	3.8	7.0	სპორტინგი-შვენდერ	1.1	8.5	29.0
ბორდო-სიონი	1.73	3.6	5.0	ლოკომოტივი-ბეშიქტაშ	2.15	3.0	3.8
გაბალა-დორტმუნდი	13.0	6.0	1.22	ბაზელი-ბელენსეში	1.3	4.8	12.0
პაოკი-კრასნოდარი	2.7	3.1	2.75	ფიორენტინა-ლესი	1.33	4.8	10.0
ლეგია-ბრიუგე	2.1	3.3	3.6	ანდერლესტი-ტოტენჰემ	3.1	3.1	2.4
მიდტიულ-ნაპოლი	3.9	3.4	1.95	მონაკო-ყარაბაგი	1.44	4.2	7.5
რაპიდი-პლზენი	2.15	3.2	3.6	შალკე-სპარტა	1.7	3.8	4.8
ვილიარ-დინამო(მ)	1.22	6.0	13.0	აპოელი-ასტერასი	2.0	3.1	4.2
ლიბერეცი-გროსინგ	1.83	3.4	4.5	ალკმარი-აუგსბურგი	2.8	3.5	2.4
ბრაგა-მარსელი	2.7	3.0	2.8	პარტიზანი-ბილბაო	3.4	3.2	2.2

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი, 2015

№248 (6868)

ფასი: 30 თეთრი

ნიკა გვარამია: „ღამეუქრენ ჩემი პირადი ცხოვრების დეტალების გამოქვეყნებით“



„მითხრეს, რომ სასამართლო რუსთავი 2-ს ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნებს“

ქიბარ ხალვაში:
„ქართული ხალხის სულში ჩაფურთხებაა, როცა გვარამია მედიაკლუკალიზმზე საუბრობს“



„სამსახურს არავინ დაკარგავს, კოლექტიური გვარამიას გარდა“

რამაზ საყვარელიძე:
„ნაციონალებმა რუსთავი 2, შესაძლოა, თვითონ გათიშონ“



„ხელისუფლება ფრთხილად უნდა მოიქცეს“

გია ხუხაშვილი:
„ხალვაში არაკეთილსინდისიერი შეშენი გამოდის“



„ამ ყველაფრით ხელისუფლება ზარალდება“

ზვიად კვაჭანტირაძე:
„რუსთავი 2-ის საქმით ქვეყანაში სიტუაციის არევის ცდილობენ“



თიბილოვი
ბიბილოვის წინააღმდეგ



დავით დარჩიაშვილი:
„ნაგებობის კადრების გადაღების დრო ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას ემთხვევა“





რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალურმა რუსთავი 2, შესაძლოა, თვითონ გათიშონ“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა დაძაბულობის ესკალაციას ცდილობს და ჯახი პოლიტიკურ ძალებს შორის გარდაუვალია. ასეთ ბრძოლაში ყველაზე დიდი გამოცდილება ნაციონალურ მოძრაობას აქვს. მან კარგად იცის, რომ დროის დაკარგვა არ შეიძლება და საარჩევნო კამპანია გახსნილადც გამოაცხადა.

– ის, რასაც დღეს ვხედავთ, მათი მხრიდან სწორედ საარჩევნო კამპანიის ნაწილია. ნაციონალური მოძრაობას ეს საშუალება აქვს, ამომრჩევლის თვალსაწიერში დარჩეს, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა, – ამბობს პოლიტოლოგი.

– ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიზანი თუ მათი გეგმები უფრო შორსმიმავალია?

– ცხადია, მათი გეგმები უფრო შორსმიმავალია, მაგრამ იმ შორ გზას ვერ გაივლიან, თუ მუდმივად არ იქნებიან ტელევიზიის ქვეშ. ამ დაძაბულობით ისინი ქმნიან საერთო განწყობას, შემდეგ უკვე ოპოზიციური ჩაგრული ძალის მანტიას ირგებენ. ეს პროცესი რუსთავი 2-ის გარშემო იკვანძება. არ გამოვრიცხავ, რომ დაძაბულობის პიკის შესაწირავენებლად რუსთავი 2 ნაციონალურმა მოძრაობამ თვითონ გათიშოს და ეს ხელისუფლებას დააბრალოს.

რამაზ საყვარელიძის აზრით, ნაციონალური მოძრაობას დღეს ორი რამ ანკოხს: პირველი, პოლიტიკური დაძაბულობის ესკალაცია და მეორე, რუსთავი 2-ის პროცესი ჩაჯდეს „იმედის“ დარბევის გვერდით, რომ თქვან, აგერ, ესენი რუსთავი 2-ს თიშავენ.

– ნაციონალური მოძრაობა იმას კი არ გვიმტკიცებს, რომ გამოსწორდა და განახლდა, არამედ გვეუბნება, დღევანდელი ხელისუფლება ჩვენგან არაფრით განსხვავდებაო, – აცხადებს პოლიტოლოგი.

– დღეს ნაციონალური მოძრაობა ყველა დონეზე ცდილობს, ხელისუფლება გააშვოს?

– დიახ.
– რამდენად ახერხებს?



„ხელისუფლება ფრთხილად უნდა მოიქცეს“

– ქვეყნის შიგნით გაუჭირდება, მაგრამ ქვეყნის გარეთ ამას ჯერჯერობით თავს წარმატებით ართმევს. ნაციონალური მოძრაობის სცენარში მსგავსი პროვოცირება ყოველთვის იყო. 2003 წელს ვარდების რევოლუციამდე რამდენიმე მსგავსი კონფლიქტი შექმნა სააკაშვილმა. რამდენიმე მისი მომხრე გაილაშხა და ამით გახარებული იყო, რომ ხელისუფლებას შეცდომა დააშვებინა, რომ ხელისუფლება თავის ანკესზე წამოაგო.

გია ხუხაშვილი: „ხალვაში არაკეთილსინდისიერი შაშიანი გამოდის“



ნონა ცაბაძე

ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ რუსთავი 2-ის დახურვის საფრთხე არსებობს.

– რადგან ტელევიზიის კოლექტივი აცხადებს, რომ მფლობელის შეცვლის შემთხვევაში დატოვებენ ტელევიზიას, ფიზიკურად ვეღარ იმუშავებს ტელევიზია, სანამ თავიდან არ დაკომპლექტდება ახალი კადრებით, გარკვეული პერიოდით ტელევიზიის დახურვა გარდაუვალი იქნება, – ამბობს გია ხუხაშვილი.

მისი აზრით, ეს საკითხი ძალიან მძიმეა და პირველ რიგში აზიანებს ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, ხელისუფლება მონაწილეობს ამ პროცესში თუ არა.

– დღეს ქიზარ ხალვაში ებრძვის არა რუსთავი 2-ს, არამედ ხელისუფლებას. ის პროვოკაციულად მოქმედებს ხელისუფლების მიმართ. დღეს ეს ყველაფერი აშკარად არ ჩანს, მაგრამ დროთა განმავლობაში ამას დაეცინახავთ აშკარად, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

– იმის თქმა გინდათ, რომ ამას ქიზარ ხალვაში შეგნებულად აკეთებს, რათა ხელისუფლება დაზარალოს?

– ხალვაში ამას შეგნებულად აკეთებს, შეუგნებლად, ოქრუაშვილთან ერთად, თუ, უბრალოდ, გამწარებულია და აფექტურად იქცევა, ეს ცალკე თემაა. ფაქტი ისაა, რომ მთავარი დაზარალებული მთელი ამ პროცესიდან იქნება საქართველოს ხელისუფლება.

ექსპერტი ეჭმევშე აყენებს ქიზარ ხალვაშის კეთილსინდისიერ მე-



„ამ ყველაფრით ხელისუფლება ზარალდება“

პატრონობას, რადგან არხის რეალური მფლობელები იყვნენ ეროსი კინზარიშვილი, დავით დვალა და ჯარჯი აქიმიძე.

– მაშინ ხალვაში რას დავობს? ან აქიმიძე და დვალა სად არიან, რატომ არ დავობენ?

– ქიზარ ხალვაში იყო ამ ტელევიზიაში ხელისუფლების პირველი ნომინალური წარმომადგენელი. სხვათა შორის, ცოტა ჭკვიანი მეგონა და მთლად ჭკვიანი ვერ ყოფილა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ინტერვიუებში იძლევა აღიარებები ჩვენებას.

– კერძოდ?

– ის ამბობს, რომ იქ იყო ვილაცა შუალედური რგოლი, ვინმე ასანიძე, არაკეთილსინდისიერი შემქმნელი და მან ეს იცოდა. შესაბამისად, თვითონაც არაკეთილსინდისიერი შემქმნელი გამოდის.

მთელ ამ ისტორიაში თუ ვინმეს ზარალზე ვილაპარაკებთ, დაზარალებულები არიან დავით დვალა და ჯარჯი აქიმიძე. ეროსი ცალკე ისტორიაა.

ქიზარ ხალვაშმა ფული გადაიხადა თუ არა, ის ტელევიზიის არაკეთილსინდისიერი შემქმნელი იყო და ის იყო პირველი მიშა. იმის შემდეგ იყო ძალიან ბევრი სხვა მიშა.

– ანუ რუსთავი 2-ს მიშა მართავდა?

– ასე იყო და, მაღალი ალბათობით, იქ დღესაც მიშაა. დღეს ჩვენ ვაკვირდებით პროცესს მიშას პირველი რეინკარნაციიდან მეათე რეინკარნაციამდე ანუ ორი მიშა ებრძვის ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი მოკლებულია დამაჯერებლობას.

ხალვაში შემდეგ ინტერვიუებში ადასტურებს, რომ მიშას მოთხოვნით მან გაათავისუფლა ნიკა ტაბატაძე ანუ სარდაქციო პოლიტიკას მართავდა არა თვითონ, არამედ ხელისუფლება მისი მეშვეობით.

– ფინანსებზე რას იტყვით?

– ყველას კარგად გვახსოვს, ოქრუაშვილის პერიოდში რა ფულსაც აბანდებდა იქ. გვახსოვს მისი სამშენებლო ბიზნესები ოქრუაშვილის პარტნიორობით, ყაზარმების მშენებლობები და ასე შემდეგ.

– იმის თქმა გსურთ, რომ ის დაზარალებული არ არის?

– შე იმას ვადასტურებ, რომ, საბოლოო ჯამში, ქიზარ ხალვაში დაზარალებულია. ხალვაშს პოლიტიკური პრობლემა კი არ შეექმნა ხელისუფლებასთან, უბრალოდ, მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილი, როგორც მისი პარტნიორი, იქნა ხელისუფლებიდან ჩამოშორებული, ხელისუფლებამ მისი მოშორებაც გადაწყვიტა და თავისივე ტელევიზია ისევ თავის თავზე გადაიფორმა.

– ანუ ხალვაში სხვა გვარმა შეც-

– დღესაც ეგება ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის ანკესზე?

– აბა, სხვა რა იყო თამარ ჩერგოლეიშვილის დაკავება ბოძზე გაკრული განცხადებისთვის, თუ არა ხელისუფლების დიდი შეცდომა?! ნაციონალები ამ სტრატეგიით ამომრჩევლის გულს დიდად ვერ მოიგებენ, მაგრამ დასავლეთში ხელისუფლებას გააშავებენ.

ნაციონალების სამართლებრივი დევნისგან ერთადერთი დამცავი მექანიზმი დასავლეთია. დასავლეთის ზეწოლა ამ ტიპის ფაქტების შემდეგ უფრო მეტი იქნება.

– ადეკვატურია ხელისუფლება, ამის ანალიზს აკეთებს?

– თუ ხელისუფლება ამ ანალიზს არ აკეთებს, ძალიან ცუდია. ხელისუფლებას ფრთხილი მოქმედება მართებს. მას ბენევის ხილზე მოუწევს გაგლა. პოლიციის მოუხეშავი მოქმედების წყალობით შეიძლება, ბევრი შეცდომა დაუშვას. ამის მაგალითი უკვე ვნახეთ. ორმაგ სტანდარტს ოპოზიცია არ გააპატიებს.

– ორმაგ სტანდარტში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ იმავე ბოძზე, რომელზეც ჩერგოლეიშვილმა განცხადება გააკრა, გაკრული იყო სხვა განცხადებაც, მაგრამ ის პირი არ დაუკავებიათ. ამ ორმაგ სტანდარტში პოლიტიკურ მოტივს წაიკითხავს ყველა, დარტყმის ქვეშ კი ხელისუფლება აღმოჩნდება.

– ხელისუფლება ვერ აკონტროლებს პოლიციელების ქმედებას?

– უზენაესი ხელისუფლება ვერ აკონტროლებს, ქვედა დონეზე არ არის მკაცრი ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა იმოქმედო ამ შემთხვევაში პოლიციელმა. თითოეული სტრუქტურა იქცევა თავისი და არა – საერთო პოლიტიკური გადამწყვეტილებით.

როდესაც გიგი უგულავა მერი იყო და ირაკლი ღარიბაშვილი – შს მინისტრი, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მდგომარეობა დაიძაბა. მაშინ ბიბლიოთეკასთან მივიდა ღარიბაშვილი, რათა პროცესები განემუხტა.

– ის კოპაბიტაციის პერიოდი იყო.

– დიახ, მაგრამ მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა მოახერხა, პროცესი დიდ არეულობასა და დაძაბულობაში არ გადაზრდილიყო, რომ პოლიციას სწორად ემოქმედა.

– თუმცა ჩიორა თათაქაშვილმა ცხირში დარტყმა მიიღო.

– დიახ, მაგრამ უფრო შორს შეიძლება, მოვლენები წასულიყო. არც ის არის გამორიცხული, რომ გარკვეულ სტრუქტურებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასეთ მოუხეშავ ქმედებებს არ მოერიდებიან, რომ მერე ეს უმაღლეს ხელისუფლებას დაბრალებს, ამიტომ დღეს ხელისუფლებას მეტი სიფრთხილე და დაფიქრება მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას პროცესების მართვა გაუჭირდება.

გალა?

– დიახ. მიშა ქიზარ ხალვაში კი აღარ იყო, იყო ბეჟუაშვილი ან სხვა, ვისაც ენდობოდნენ. დვალისა და აქიმიძის შემდეგ რუსთავი 2-ის რეალური და ერთადერთი მფლობელი არის მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა! დღემდე ასეა, არაფერი შეცვლილა!

ექსპერტის განცხადებით, ვინაიდან ხალვაში სააკაშვილის ყველა სურვილს უსიტყვოდ ასრულებდა, ძნელია მისი მოთხოვნის დამაჯერებლობაზე საუბარი.

– როგორ შეიძლება, მიშას ხელისუფლების ბრძანებების შემსრულებელი დღეს მოგვევლინოს სიტყვის თავისუფლების გარანტად? – კითხულობს ხუხაშვილი და იქვე პასუხობს: – თუკი ხალვაშს მონაწილეობის გრძნობა აქვს, თუკი მას უნდა, ამ ქვეყნისთვის რაღაცა გააკეთოს, მას უნდა მიეცა აღიარებითი ჩვენება, თუ როგორ მიიღო მონაწილეობა რუსთავი 2-ის წართმევის სპეცოპერაციაში და მისი ჩვენებების საფუძველზე დათო დვალსა და ჯარჯი აქიმიძეს დაპყრუებოდათ თავიანთი ქონება.

ექსპერტის მიაჩნია, რომ ეს იქნებოდა ერთადერთი ჯანსაღი და სწორი გზა. ხალვაშს არავინ დაიჭერდა, ხოლო მისი ჩვენებები მთელ ამ პროცესში იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპიც გამხდარიყო.

– თქვენვე აცხადებთ, რომ რუსთავი 2 დღემდე სააკაშვილისაა. რამდენად შეიძლება, ასეთი ტელევიზია იყოს მიუკერძოებელი და თავისუფალი სიტყვის დამცველი?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი
გამოდის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაჭურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საგინანო სამსახური – ჯორა ბალავაძე

დაკაბდონება – ინგა დვალაშვილი, ნონა კანდელაკი, შინა ქაქავილი

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გაფრცხვლების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიები გამოქვეყნებული მასალების სიწესტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნიკა გვარამია: „დაგეგმუქნენ ჩემი პირადი ცხოვრების დატალახის გამოქვეყნებით“

„მითხრეს, რომ სასამართლო რუსთავი 2-ს ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნებს“

გუშინ, 21 ოქტომბერს, რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სკანდალური განცხადება გააკეთა.

– სამწუხაროდ, ვითარება ისე მიდის, რომ ამ ქვეყანაში თავისუფალი მედიის ადგილი აღარ რჩება, – განაცხადა მან საგანგებო ბრიფინგზე.

გვარამიას თქმით, ბრიფინგამდე ცოტა ხნით ადრე შედგა საუბარი მას და იმ ადამიანს შორის, რომელიც, როგორც წესი, ანდრის სამთავრობო მესიჯებს.

– ამ საუბრიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ხვალ სასამართლოზე გამოვა გადაწყვეტილება, რომელიც კომპანიას მიაკუთვნებს ქიბარ ხალვაშს. ამ გადაწყვეტილებას ან ხვალვე და შემდეგ დღეებში მოჰყვება დაუყოვნებლივ აღსრულების გადაწყვეტილება და მოთხოვნა იყო ჩემ მიმართ, რომ მე გაეწეულიყო, – განაცხადა გვარამიამ.

მისი თქმით, რუსთავი 2 სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას არ აპირებს და ტელევიზიაში ძალისმიერი შეჭრის მცდელობის შემთხვევაში თავს ასევე ძალისმიერად დაიცავს.

– გეუბნებით ღიად, ჩვენ არ დავუთმობთ არავის რუსთავი 2-ს, იმიტომ რომ ხვალინდელი გადაწყვეტილება არის აპირირი უკანონო. ჩვენ არ ვაპირებთ მის აღსრულებას. ჩვენ ვაპირებთ მათემატიკურად იმ ფორმით, რა ფორმატიც გვაქვს. იმ ვითარებაში, თუ იქნება ძალისმიერი შემოჭრის მცდელობები კომპანიაში, ჩვენ დავიცავთ თავს ასევე ძალისმიერად. არ ვაპირებთ, დავთმოთ ტელეკომპანია, ჩვენი სიტყვის თავისუფლება და ქვეყნის დემოკრატიული პერსპექტივა, – განაცხადა გვარამიამ.

მისი თქმით, იმ ადამიანმა მას მიანიშნა, რომ მას ოჯახის წევრები ჰყავს ქვეყანაში.

– მითხრეს შემდეგი – არ უნდა დამავინყდეს, რომ ჩემი ოჯახის წევრები აქ ცხოვრობენ და ვერ მოვასწარი მათი ამერიკაში გაშვება, არ უნდა დამავინყდეს, რომ ვიდუოზე გადაღებულია კონკრეტული ურთიერთობები და ეს გამოქვეყნდება. არ უნდა დამავინყდეს, რომ მაქვს სატელეფონო საუბრები სააკაშვილთან



და მე განადგურებული ვიქნები ჩემი კოლეგების თვალში, – განაცხადა გვარამიამ.

მისი ინფორმაციით, შეხვედრა ადამიანთან, რომელმაც მას სამთავრობო მესიჯები მიანოდა, ტელევიზიის შენობაში რამდენიმე საათის წინ შედგა.

გვარამიამ მისი ვინაობის დასახელებისა და დამატებითი დეტალების გახმაურებისგან თავი შეიკავა.

– ჯერ არ ვარ მზად ამ ადამიანის დასახელებლად.

შეხვედრა მოხდა ამ შენობაში, რომელშიც ვიმყოფებით. თუ იმას ელოდებით, რომ ეს შეხვედრა მტკიცებულებებითა და ფარული ჩანაწერებით წარიმართა, ეს ასე არ ხდება და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი არგუმენტი იმისთვის, რომ არ მეთქვა, იყო ისიც, რომ მე ამ შეხვედრის მტკიცებულებები არ მაქვს, – განაცხადა გვარამიამ.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ შანტაჟის წინააღმდეგ სწორი გზა არის საუბარი.

– ხელისუფლებას მიმართავ ღია ეთერიდან, ატვირთეთ, რაც გნებავთ, ეს ჩემთვის ღრმად სულ ერთია, ფეხიც ჩემია და თავიც, ეს არის ჩემი პირადი ცხოვრება. თუ მე ვარ უკანონო თვალთვალის წინაშე, გაზღვევინებთ სასამართლოს წინაშე, – განაცხადა მან.

გვარამიას თქმით, არაფერი ცხოვრებაში არ ჩაუდენია ისეთი, რომლის გამოქვეყნებაც იქნებოდა იმაზე უარესი, ვიდრე რუსთავი 2-დან გაქცევა.

– ჩემი კოლეგების ლალატს და, რაც მთავარია, ჩვენი მაყურებლების ლალატს არ ჩავიდენ არავითარი შანტაჟის სანაცვლოდ, არც ერთი გადაწყვეტილების სანაცვლოდ, რომელიც არ უნდა გამოიტანოს ურთმელოდ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან ტელეეთერიდან ხელისუფლებას მიმართა:

– მე ვარ ყველაფრისთვის მზად, გარდა ერთადერთისა: თუ ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ერთი ღერი თმა მაინც დასცივდება თავიდან, თუ ჩემს რომელიმე თანამშრომელს, მათი ოჯახის წევრებს, ერთი ღერი თმა მაინც დასცივდება თავიდან, ყოველგვარი მართლმსაჯულების გარეშე არ დაველოდები არაფერს, ყველგან, სადაც მოგწვდებით, აუცილებლად გაზღვევინებთ, ძალიან მძიმედ, რადგან თქვენ თვითონ შეხვედით ამ ჩიხურ მდგომარეობაში და შეიყვანეთ ქვეყანა. ან დაიხვეთ უკან, დაანებებთ მედიას თავს და მოგვცემთ მედიას პროფესიული, მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას, ან ეს ვითარება პირველ რიგში დაგაზარალებს თქვენ და პირველ რიგში მძიმედ დააზიანებს ქვეყანას, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ქიბარ ხალვაში: „ქართული ხალხის სულში ჩაფურთხებაა, როცა გვარამია მედიაკლუარალიზმზე საუბრობს“

„სამსახურს არავინ დაკარგავს, კოლექტიური გვარამიას გარდა“

– არხი არ დაიხურება, სამსახურს არავინ დაკარგავს. ტელევიზიაზე ჩემი უფლებების აღდგენის შემდეგ ამუშავდება პრინციპი – ყველას მიწის ერთი და ეს მიწის ერთი სწორედ კოლექტიური გვარამია იქნება.

ამის შესახებ ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა გუშინ, 21 ოქტომბერს, განაცხადა.

მან რუსთავი 2-ის თანამშრომლებისადმი მიმართვა გააკრცვლა:

– დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს მართლაც შესტკივა გული თავისუფალ სიტყვასა და დამოუკიდებელ მედიაზე. სწორედ ამიტომ მოგმართათ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – რუსთავი 2-ის დაბრუნებასთან დაკავშირებულ დავაში ჩემი გამარჯვება იქნება სწორედ გარანტია იმისა, რომ ჩვენი არხი გახდება მიუკერძოებელი მედიასაშუალება და დაიბრუნებს საზოგადოების მხრიდან პატივისცემას, – ნათქვამია განცხადებაში.

ხალვაშის თქმით, ტელევიზიის სამართლებრივი გზით დაბრუნების მას სჯეროდა მაშინ, როცა ამაზე ფიქრიც კი აკრძალული იყო, სჯეროდა მაშინაც, როდესაც ნაციონალური მოძრაობის ნებაზე მთლიანად დამოკიდებულ სასამართლოსა და პროკურატურაში ცდილობდა სიძარდოების დამტკიცებას.

– გვირდებით ყველას – ჟურნალისტებს, პროდიუსერებს, ოპერატორებს, ტექნიკურ მუშაკებს – ტელეკომპანიაში თქვენი მუშაობა გახდება თავისუფალი ნებისმიერი სახის ზენონისგან, კომფორტული, დაცული და დაფასებული. თქვენი ჟურნალისტური საქმიანობა დამყარდება მხოლოდ თქვენსავე პროფესიონალიზმსა და ჟურნალისტური ეთიკისადმი თქვენს ერთგულებას. არხი გათავისუფლდება პოლიტიკური ძალების დიქტატისგან და გახდება მაქსიმალურად პლურალისტური, – აღნიშნავს ქიბარ ხალვაში.

ის ამბობს, რომ არ დაუშვებს, გვარამია-საკაშვილის ტანდემმა რუსთავი 2 გააკონტროლოს და არხის 800-ზე მეტი თანამშრომელი აღებული კრედიტების პირისპირ, ულუკმაპუროდ დატოვოს. – არ დავუშვებ, ადამიანები, რომლებიც უნდა ემსახურონ თავისუფალი სიტყვის დაცვას, ქუჩაში გამოყაროს ვინმემ. ვაცხადებ ღიად, ვაცხადებ საჯაროდ! არხის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც თვლის, რომ მისი უპირველესი მოვალეობა არა პარტიული დაჯგუფებისადმი, არამედ პროფესიონალურად და ჟურნალისტური სტანდარტების შესაბამისად თავისუფალი სიტყვის ერთგულებაა, უმუშევარი არ დარჩება და არ დაკარგავს სამსახურს! – ნათქვამია განცხადებაში.

ხალვაშის აზრით, დღეს რუსთავი 2 ნაციონალური მოძრაობის მარნუხებშია მოქცეული და იმართება პოლიტიკური დაკვეთებით.

– ამ პროცესს ხელმძღვანელობს გვარამია, რომელმაც სააკაშვილთან, ადგილშვილთან, მერაბიშვილთან, ახალაიბთან და კიდევ სხვებთან ერთად შექმნა სისტემა, რომელმაც ქვეყანა დესპოტიზმის ჩიხში შეიყვანა. ერთადერთი, ვისაც ზემოთქმულს არ დავვირდები, ეს სწორედ ტელეკომპანიის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი და მისი პრინციპების გამზიარებლები არიან, – აცხადებს ქიბარ ხალვაში.

ის ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის გამტარებლები ვერ იქნებიან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომელსაც პრეტენზია აქვს თავისუფალ სიტყვასა და მიუკერძოებლობაზე.

– ქართველი ხალხის სულში ჩაფურთხებაა, როცა მედიაპლურალიზმზე საუბრობს და ყველგვარად ადამიანი, რომელმაც, ცივილიზებული მსოფლიოსგან განსხვავებით, „იმედის“ სასტიკი დარბევას მხარი დაუჭირა. ის კეზერაშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა საკუთრების უმონყალო დარბევას, გადაწვას, ოჯახის წევრების მძევლად აყვანას, ტერორსა და განუკითხოებას, ათასობით ქართველის უკანონო დევნას.



სწორედ ამიტომ და თუნდაც მხოლოდ ამიტომ კოლექტიურ გვარამიას არაფერს დავპირდები და არაფრის გარანტიას არ მივცემ! – ნათქვამია განცხადებაში.

ზვიად კვაჭანტირაძე: „რუსთავი 2-ის საჩივით ქვეყანაში სიბუასიის არქივას ცდილობენ“



– არის მცდელობა, რუსთავი 2-ის საქმეზე მანიპულირებით ქვეყანაში სიტუაციის ესკალაციას ჰქონდეს ადგილი.

ასე გამოეხატა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი

ზვიად კვაჭანტირაძე ნიკა გვარამიას საგანგებო განცხადებას.

კვაჭანტირაძის თქმით, არაერთხელ დადასტურდა, რომ რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობა პოლიტიზებულია.

– არ მალავენ, რომ არიან ერთი პოლიტიკური ძალის რუპორი და მხარდამჭერები და განცხადებებს ამ კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესების შესაბამისად აკეთებენ, – განაცხადა დეპუტატმა.

მას არ სჯერა ნიკა გვარამიას განცხადების.

– აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არც მინდა, სანამ სასამართლო მუშაობს და სასამართლო საკუთარ ვერდიქტს არ გამოიტანს. შორს ვარ იმისგან, რომ ჭიკაში ქარიშხლის ატეხის მცდელობას მხარი უნდა აუჭიან, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

მისი თქმით, ხელისუფლების მხრიდან არანაირი ძალადობა არ იგეგმება. არც ისეთი ქმედება იგეგმება, რომელიც შეიძლება სამართლებრივ სივრცეს გასცდეს.

– სრული პასუხისმგებლობით

ვამბობ, ხელისუფლების მხრიდან არ იგეგმება რუსთავი 2-ის მათემატიკური შეწყვეტა. მთავარია, არხის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ ეს თავად არ გადაწყვიტოს მოვლენების შემდეგ ესკალაციის მიზნით, – განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

კახა კოჭორიძე: „პროკურატურამ გვარამიას განცხადებაზე უსწრაფესი რეაგირება უნდა მოახდინოს“

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველ კახა კოჭორიძის შეფასებით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებული განცხადებები დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

შესაბამისად, როგორც კახა კოჭორიძემ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობასთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მასზე პროკურატურამ რეაგირება უნდა მოახდინოს.

– ცხადია, ვერ ვისაუბრებ იმაზე, ეს ყველაფერი მართლა ასე მოხდა თუ არა. მე იურიდიულ შეფასებას გავაკე-



თებ და ვიტყვი, რომ ის, რაც ნიკა გვარამიამ განაცხადა, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობა პროკურატურას, როგორც სამართალდამცავ ორგანოს, ავალისთავებს, რომ ამ ტიპის განცხადებაზე მოახდინოს უსწრაფესი რეაგირება. პროკურატურის ვალდებულებაა, გაარკვიოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე, – აღნიშნა კახა კოჭორიძემ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-ისრეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისკალზია, ხერხემალი დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია



თიბილოში ბიბილოვის წინააღმდეგ



შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალის ხელისუფლება, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნავს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს, რუსეთში შევარდნაზე ორიენტირებული ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მათი პრეზიდენტის ინიციატივას რეფერენდუმის ჩატარებაზე მოსკოვში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათი უარის მიუხედავად, ოსები რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მაინც აპირებენ.

ამ იდეამ ცხინვალში არსებული პოლიტიკური დაპირისპირება სააშკარაზე გამოიტანა. პარლამენტის სპიკერი და მისი „ერთიანი ოსეთი“ პრეზიდენტს ლამის პლაგიატობას სდებენ ბრალად.

რეფერენდუმის ჩატარებაზე სიტყვა რესპუბლიკის თავმა ლეონიდ თიბილოვმა ჩამოაგდო. როგორც „ახალი თიბილი“ წინა წიგნში წერდა, ეს განცხადება პრეზიდენტმა ცხინვალში რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველ ვლადისლავ სურკოვის ვიზიტს დაამთავრა, თან ისე ჩაახუჭა სათქმელი, ყველამ იფიქრა, რომ ეს ყველაფერი სურკოვთან შეთანხმებით გაკეთდა.

თიბილოვს ეშმაკობას მალევე მიუხვდნენ მოსკოვში და ვლადიმერ პუტინის პრესსპიკერმა საგანგებო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწესთან შეხვედრისას ცხინვალში რეფერენდუმზე არავის ულაპარაკია.

პესკოვის განცხადება თიბილოვს მწარედ მოხვდა გულზე და მის საპასუხო საგანგებო განცხადება გააკეთა, სადაც მან, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყოდა, ჩააზუსტა სურკოვთან შეხვედრის დეტალები.

რესპუბლიკის თავის განმარტებით, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწესთან შეხვედრისას ინვესტიციების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც ცხინვალის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გასაუმჯობესებლად უნდა ჩაიდოს. უსაუბრიათ შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე და რუსეთთან ინტეგრაციის საკითხებზე განუხილავთ.

– ოფიციალური შეხვედრისას რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით არაფერი თქმულა, – აცხადებს თიბილოვი.

ამის მიუხედავად, ის მაინც რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობს. რესპუბლიკის ლიდერის თქმით, ეს სამხრეთი ოსეთის განვითარების ერთადერთი შანსია.

პრეზიდენტის მხარდამხარ საგანგებო ბრიფინგი გამართა რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვიანესლავ გაბოზოვმა.

გაბოზოვის განმარტებით, თიბილოვის ინიციატივა დროული და



ლეონიდ თიბილოვი

აუცილებელია. მისივე თქმით, რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეა ახალი არ არის და სამხრეთი ოსეთის მოსახლეობა ამაზე თურმე ძალიან დიდი ხანია, ოცნებობს.

სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარისთვის რეფერენდუმის შედეგები წინასწარ არის ცნობილი, სამაგიეროდ, არ იცის, აასრულებს თუ არა მოსკოვი სამხრეთელთა ოცნებას.

– ჩვენ კარგად გვესმის, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი მხოლოდ რეფერენდუმით არ გადაწყდება. ამ პროცესის დასაწყებად ორივე მხარის თანხმობაა საჭირო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რუსეთი გაითვალისწინებს სამხრეთი ოსეთის მოსახლეობის სურვილს, გახდეს მისი სრულუფლებიანი წევრი, – ამბობს გაბოზოვი.

რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მხარს უჭერენ „ახალი ოსეთი“, კომუნისტური პარტია და ომის ვეტერანთა ნაწილი.



ასეთი ტიპის რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გასულ წელს პარტია „ერთიანი ოსეთი“ გამოვიდა. ამ პარტიის თავკაცი ადგილობრივი პარლამენტის თავკაცი ანატოლი ბიბილოვია. მოსკოვმა მის ინიციატივასაც ცივი წყალი გადაასხა, მაგრამ რუსეთში შევარდნაზე არც ბიბილოვი იხევეს უკან.

მისმა პარტიამ, რომელიც რესპუბლიკაში ყველაზე მრავალრიცხოვანია, საგანგებო განცხადება გააკეთა. „ერთიანი ოსეთი“ რესპუბლიკის თავის ინიციატივას სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

პარტიის მიერ გაკეთებულ განცხადებაში რამდენიმე საინტერესო დეტალია. „ერთიანი ოსეთი“ თიბილოვსა და სრულად საოსოს შეახსენებს, რომ სარუსეთო რეფერენდუმის ჩატარების იდეა ამ პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო.



ანატოლი ბიბილოვი

რეფერენდუმის თემა ცხინვალში დაპირისპირების მიზეზი ხდება

ამის გარდა, „ერთიანი ოსეთი“ მიიჩნევს, რომ მთავრობამ რეფერენდუმზე მართო კი არ უნდა ილაპარაკოს, არამედ მისი ჩატარების კონკრეტული თარიღიც დაასახელოს.

ცხინვალში ბოროტი ხმები ამბობენ, რომ თიბილოვის სარეფერენდუმო ვნებები იქ არსებული პოლიტიკური დაპირისპირების შედეგია.

არავისთვის დამალული არ არის, რომ პრეზიდენტი თიბილოვი და პარლამენტის სპიკერი ბიბილოვი ერთმანეთს კბენენ. ცხინვალში იმასაც ამბობენ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვი სპიკერის კანდიდატურას დაუჭერს მხარს. ბიბილოვს თავდაცვის მინისტრ შოიგუს სახით სერიოზული მფარველი ჰყავს.

თიბილოვს პრეზიდენტის სავარძელი გაუტყდა და მეორედ მოსვლაც უდევს გულში. მან კარგად იცის, რომ მიზნის მისაღწევად მოსკოვის კეთილგანწყობის მოპოვებაა საჭირო.

ცხინვალში არ გამოირიცხავენ, რომ სწორედ ამ მიზნით გააკეთა სარეფერენდუმო განცხადება, თანაც ის სურკოვის ვიზიტს დაამთხვია.

მართალია, რუსეთი ცხინვალის ოფიციალურ მიერთვინაზე ცივი უარს აცხადებს, მაგრამ ოსები მაინც სარეფერენდუმო სიმღერას მღერაინ. აქ ვარაუდობენ, რომ თიბილოვი რეფერენდუმის ჩატარებას საპრეზიდენტო არჩევნებს დაამთხვევს, რითაც საკუთარი რეიტინგის გაზრდას შეეცდება.

ადგილობრივი პარლამენტის წევრი ამირან დიაკონოვი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი და საპრეზიდენტო არჩევნები ერთად არ უნდა ჩატარდეს. მისი თქმით, რეფერენდუმი უახლოესი 6 თვის განმავლობაში უნდა გაიმართოს.



ექსპერტები ოსთა სარეფერენდუმო ვნებებს სხვადასხვანაირად აფასებენ. პოლიტოლოგ ევგენი კრუტიკოვის აზრით, დიმიტრი პესკოვის განცხადება იმას ნიშნავს, რომ არანაირი

რეფერენდუმი არ იქნება.

– ასეთი ტიპის ღონისძიება მოსკოვის ნებართვის გარეშე ვერ ჩატარდება. პოლიტიკურ ნიაღვრებს რომ თავი დავანებოთ, რეფერენდუმის ჩატარება რამდენიმე მილიონი რუბლი დაჯდება, საამისო თანხები კი სამხრეთი ოსეთის ბიუჯეტში არ მოიძებნება. ამიტომაც ეს ფული მოსკოვმა უნდა გამოყოფს იმ შემთხვევაში, თუ კრემლი რეფერენდუმის ჩატარებას დათანხმდება, – აცხადებს კრუტიკოვი.

პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ მოსკოვი ცხინვალის ხელისუფლებას რეფერენდუმის ჩატარების უფლებას არ მისცემს.

– მოსკოვმა სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და არაერთხელ განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი არასდროს შეიცვლება, – აღნიშნავს პოლიტოლოგი. ევგენი კრუტიკოვის თქმით, რეფერენდუმის იდეის გაუფრთხილება თიბილოვის წარუმატებელი წინასაარჩევნო პიარია, ანდა მისმა პრესასამსახურმა არაზუსტი განცხადება გაავრცელა.

– ამ თემის წამოწევა უადგილო იყო, რადგან რეფერენდუმზე საუბარს მოსკოვმა გასულ წელს დაუხვდა წერტილი. მაშინ ამ იდეით „ერთიანი ოსეთი“ გამოვიდა, – აცხადებს კრუტიკოვი.

რუსი ექსპერტი ალექსანდრე კრილოვი უკვე წლებია, ისმენს განცხადებებს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, რადგან თიბილოვი დიდი ხანია, ამას ითხოვს.

– რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების იდეას თიბილისში უარყოფითი რეაქციები მოჰყვა, რაც სრულიად გასაგებია. ამ საკითხის მიმართ საინტერესო მიდგომა აქვთ ევროპელ ექსპერტებს. ისინი რაღაც დონეზე მხარს უჭერენ 2 ოსეთის გაერთიანების იდეას, ოღონდ არა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, – აცხადებს ოსურ მედიასთან საუბარში კრილოვი.

მისი თქმით, ოსი ხალხი რომ შუაზე გაყოფილი, ამას ყველა ის მსოფლიო ლიდერი აცნობიერებს, რომლებიც კავკასიურ პოლიტიკაში არიან ჩახედული.

– ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დადებითად შეხედება მოსკოვი რეფერენდუმის იდეას ან რამდენად დიდი იქნება წინააღმდეგობა საქართველოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან, – ამბობს რუსი ექსპერტი.

კრილოვი ამბობს, რომ მან წინასწარ იცის, როგორი რეაქცია ექნება რეფერენდუმის ჩატარებაზე დასავლეთს.

– ეს რეფერენდუმი, შესაძლოა, უმაღლეს დონეზე, იდეალურად ჩატარდეს, მაგრამ დასავლეთი მაინც იტყვის, რომ ის უკანონოა, – აღნიშნავს ის.

მისი თქმით, თიბილოვმა კარგი დრო შეარჩია ამ ინიციატივის გასაუფრთხილად. კრილოვის განმარტებით, დასავლეთმა მოსკოვის წინააღმდეგ ლამის ყველა ბერკეტი გამოიყენა და ახლა რუსეთის უფრო ადვილად შეუძლია სამხრეთი ოსეთის მიღება თავის შემადგენლობაში.

კრილოვი მიიჩნევს, რომ შექმნილ სიტუაციაში სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას საქართველოც აღიარებდა, ოღონდ ერთი პირობით:

– თბილისი აუცილებლად აღიარებდა სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას, თუ ის არა რუსეთის, არამედ ამერიკის შემადგენლობაში შესვლას მოისურვებდა, – აცხადებს ექსპერტი.

„რუსეთმა სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ამ პოლიტიკური სტატუსის შეცვლას არ აპირებს“

თუ რუსეთი ცხინვალს თავის შემადგენლობაში მიიღებს, კრილოვი თბილისიდან დიდ წინააღმდეგობას არ ელოდება.

– რეაქცია მკვეთრად უარყოფითი იქნება, მაგრამ თბილისს რუსეთზე ზემოქმედება არ შეუძლია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ეკონომიკურად მოსკოვზეა დამოკიდებული. რეაქცია უარყოფითი იქნება, მაგრამ სიტუაცია რადიკალურად არ გამწვავდება, – მიიჩნევს ალექსანდრე კრილოვი.

მას არ შეუძლია დანამდვილებით იმის თქმა, ჩატარდება თუ არა ეს რეფერენდუმი საერთოდ, სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით ვერავინ გამოვა.

– იქ დამოუკიდებლობაში მთავარია. ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ასეთი ინიციატივით გამოვა, საკუთარი ხელით გაითხრის პოლიტიკურ სამარს, – აცხადებს ექსპერტი.

აფხაზეთში ხაჯიბას გადაღობვას ითხოვენ



შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში პოლიტიკური ვითარება სერიოზულად დაიძაბა. ამცახარამ რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენება ოფიციალურად მოითხოვა. აქამდე ამცახარელები მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის გადადგომას მოითხოვდნენ. 21 ოქტომბერს ამ მოთხოვნის ადრესატი რაულ ხაჯიმბაც გახდა.

პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა ორგანიზაციის რიგგარეშე ყრილობაზე გაკეთდა. ყრილობა სოხუმის დინამოს სტადიონზე ჩატარდა. აფხაზური მედიის ცნობით, სტადიონზე 3.000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა. ხალხის ეს რაოდენობა ამ პატარა კუთხისთვის საკმაოდ დიდი ციფრია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთში ამცახარას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

მხარდამჭერები არც რაულ ხაჯიმბას აკლავს. ამცახარას პარალელურად, სოხუმში პრეზიდენტის მხარდამჭერებმაც გამართეს აქცია. ისინი დრამატული თეატრის წინ შეიკრიბნენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, მათი რაოდენობა 4.000 კაცს აღწევდა.

ორივე ღონისძიება წინა დღეებში იყო დაანონსებული. სოხუმში შიშობდნენ, რომ ხაჯიმბას მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მიაღებდნენ. შს მინისტრმა ლეონიდ ძიამშვამ პირობა დადო, რომ ოპოზიციას აქციის ჩატარებაში ხელს არავინ შეუშლიდა.



ადგილობრივი სამართალდამცავების მონდომების შედეგად 21 ოქტომბერი მშვიდობიანად დასრულდა.

ამცახარას ყრილობას სხვა ოპოზიციური პარტიებიც ესწრებოდნენ. რაულ ხაჯიმბას გადადგომა პარტია აპრას თავმჯდომარე ასლან ბუაჩიამ დააყენა.

– ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, რესპუბლიკაში არსებული ვითარება უკეთესობისკენ შეცვალოს, შესაძლოა, მათ არც უნდათ რამის გაკეთება, – აღნიშნა ბუაჩიამ.

აპრას თავკაცი აღმჯოთბეულია იმით, რომ ხელისუფლებას რესპუბლიკის კრიზისიდან გამოყვანის გეგმა არ გააჩნია.

– ეს ხელისუფლება არის უმაქნისი, რომე-

რაულ ხაჯიმბა: „2019 წლამდე არსად წავალ“

ლიც ოპოზიციის დესტაბილიზაციაში დადანაშაულებით არის დაკავებული და ამტკიცებს, რომ ჩვენ რევანშის სურვილი გვაპოძრავებს, – ამბობს აპრას ლიდერი.

მისი თქმით, მოქმედმა ხელისუფლებამ თავისი ქმედებით აფხაზეთის განვითარება შეაფერხა.

– რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა უნდა გადადგეს და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს, – განაცხადა ბუაჩიამ.

რესპუბლიკის მეთაური ღონისძიების მასპინძელმა ამცახარამაც შეაჩვენა. მან მოქმედ ხელისუფლებას ანტისახალხო მთავრობის სტატუსი მიანიჭა.

დინამოზე შეკრებილი ხალხისგან განსხვავებით, დრამატულ თეატრთან მყოფები ხაჯიმბას სადიდებელ განცხადებებს ალავლებდნენ. მოგვიანებით მათ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გადაინაცვლეს და პრეზიდენტის სადიდებელი იქ წაიკითხეს.

ისე, როგორც დანარჩენ საქართველოში, ხელისუფლების მხარდამჭერ აქციაში აფხაზეთშიც საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ.

ჩვენი არ იყოს, გენდერულ ბალანსს, ეტყობა, სოხუმშიც მკაცრად იცავენ და მიტინგზე ქალებიც აქტიურობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტყვარჩელის რაიონული ადმინისტრა-

ციის ხელმძღვანელი აიდა ჩაჩხალია.

მისი განცხადებით, ოპოზიციის მოთხოვნები საფუძველს არის მოკლებული და მთავრობა არ უნდა გადადგეს.

ხაჯიმბას მხარდამჭერ აქციაზე სიტყვით მისი მრჩეველი ვლადიმერ ზანთარიაც გამოვიდა. მისი თქმით, ერთწლიანი მუშაობის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლება წარმატებით მუშაობს.

აფხაზეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა რაულ ხაჯიმბამაც, სადაც მან აფხაზეთში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, გასულ წლებში რუსეთიდან მიღებული ფინანსური დახმარების დიდი ნაწილი დანიშნულებისამებრ არ გამოყენებულა.

– ვისაც ამ ფინანსურ რესურსებთან წვდომა ჰქონდა, საკუთარი კეთილდღეობა გაიუმჯობესა, მაშინ როცა მოსახლეობის უმეტესობა კვლავ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება, – განაცხადა ამცახარას მიერ შექმნილმა.

განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე საათში ის თავის მხარდასაჭერ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა და პოლიტიკური მრევლი შემდეგი სიტყვებით ანუგეშა:

– 2019 წლამდე არსად წასვლას არ ვაპირებ.



დავით დარჩიაშვილი: „ნაფიხის კაღრების გადაღების დრო ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას ემთხვევა“



შორენა მარსაგიშვილი

ვინ მიაქნებს ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ, ტოვებს თუ არა ხალხი ნაციონალურ მოძრაობას? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.

— ცოტა ხნის წინ თქვენ გააკეთეთ განცხადება ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებასთან დაკავშირებით. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თქვენ, ნაციონალურები, ხალხს დაპირისპირებისკენ უბიძგებთ. ამაზე რას იტყვით?

— კიდევ გავიმეორებ, რომ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა და ეს „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, რომელიც არავითარი იდეალიზმით არ გამოირჩევა, იმაზეც კი არ ფიქრობენ, როგორი შეიძლება იყოს ქვეყანა. მეორეხარისხის არც დემოკრატია ადარდება და არც — დიქტატურა. მათ მხოლოდ ერთი რამ უნდათ — ეს არის ხელისუფლებაში ყოფნა. უნდათ იქ ყოფნა და მორჩა, იქ დასარჩენებად ხან კომუნისტები არიან, ხან — ქრისტიანები.

იმ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებაშიც ასეთი ხალხია, დესტაბილიზაციის რისკი ყოველთვის მაღალია.

— რაში სჭირდება ხელისუფლებას დესტაბილიზაცია?

— დესტაბილიზაცია ხელისუფლების შესანარჩუნებლად სჭირდებათ. ყველაფერს იზამენ, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ. „ქართული ოცნება“ იმ ხალხით არ არის დაკომპლექტებული, რომ პოლიტიკური მომავალი არჩევნებს მიანდოს.

— გინდათ თქვით, რომ არჩევნებს გააყალბებენ?

— რამდენად გამოუვათ, მეორე საკითხია, მაგრამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წავლენ. ამიტომაც ვამბობ, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების დაწყების მაღალი



„პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ გავურბივართ, მაგრამ პარტიის აკრძალვა მეტისმეტია“

რისკი არსებობს.

— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო დაპირისპირება წარსულს ჩაბარდა და ის აღარასდროს მოხდება.

— სამწუხაროდ, ის დაპირისპირება, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, ჯერ არ დამთავრებულა. ნუკრი ქანთარას მსგავსმა პოლიტიკოსებმა ახალი დესტაბილიზაციის დაწყების დაანონსება ჩვენ დაგ-

ვებრალეს, არადა, ყველაფერი მათგან მოდის. ხელისუფლება გადასულია ძალადობაზე და ალარაფერს ერიდება.

— რეგიონებში ნაციონალური მოძრაობის ოფისების დარბევა გაქვთ მხედველობაში?

— არამარტო ოფისების დარბევა. თავად ეს ფაქტებიც მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებას ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიჰყავს. ჩვენი ოფისების დარბევა ხალხის დაშინებას ისახავს მიზნად. ხელისუფლების მხრიდან არნახული ზეწოლის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობის წევრებისა და მომხრეების რაოდენობა არ შემცირებულა. „ქართული ოცნების“ უნიათობით აღშფოთებული მოსახლეობა უკვე ღიად ნანობს მათთვის ხმის მიცემას.

იმ ფონზე, როცა ხელისუფლების რეიტინგი კატასტროფულად იკლებს, ნაციონალური მოძრაობის ავტორიტეტი იზრდება. ამას „ქართული ოცნება“ ვერ ეგუება და ცდილობს, დააშინოს ჩვენი მომხრეები. ამ გზით სასურველ შედეგს რომ ვერ მიაღწიეს, ისევ დაიწყეს კადრებით ჟონგლირობა.

— 17 ოქტომბერს გავრცელებულ წამების კადრებზე საუბრობთ?

— დიახ. საზოგადოების მანიპულირება ერთხელ უკვე მოახდინეს ასეთი კადრებით. მეორედ ასეთი რამე აღარ გამოუვათ. მათგან ყველანაირი სიბინძურეს ველოდებით.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ 17 ოქტომბრის კადრების შემდეგ ნაციონალურ მოძრაობას ხალხი მასობრივად ტოვებს. ეს მართალია?

— ეს არის სისულელე. ამ კადრების გავრცელების შემდეგ პარტია არავის დაუტოვებია. კადრებზე ასახული ფაქტები საშინელებაა, მაგრამ მისი გავრცელება კიდევ უფრო დიდი უზენაობაა. ამავრთხილია ისიც, რომ ამ წამებებს მთელ ნაციონალურ მოძრაობას აბრალებს.

ნოდარ ნათაძე: „ხან ერთი ნაპირალა ჯგუფი უნდა იყოს ხელისუფლებაში, ხან — მეორე“



მარიამ მჭედლიშვილი

ენდიაის მორიგ სოციოლოგიურ კვლევებს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, ყველა უნდობლად შეხვდა. ამ ორგანიზაციის გამოკითხვებს უნდობლობას უცხადებს სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე. როგორც მან „ახალ თაობას“ განუცხადა, ასეთი კვლევების შედეგები რეალუბასთან კავშირში არ არის. ისინი ყოველთვის გარკვეულ მიზნებს ემსახურება.

ნოდარ ნათაძე:

— ასეთი ციფრები ყოველთვის ყალბია და ვილაცების გეგმებსა და ზრახვებს ემსახურება. გამოკითხვები მასობრივად არ ტარდება. ამ პროცესში მოსახლეობის ძალიან მცირე, შერჩეული ნაწილი მონაწილეობს. აქედან სწორ სურათს ვერ მივიღებთ.

— რა გეგმები შეიძლება ჰქონდეთ ამის ორგანიზატორებს?

— გეგმა ასეთია — ხან ერთი ნაპირალა ჯგუფი უნდა იყოს ხელისუფლებაში, ხან — მეორე ანუ ქვეყნის სათავეში მორიგეობით უნდა იყვნენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ხან ერთს ექნება პარლამენტში ადგილების 60 პროცენტი, ხან — მეორეს. საერთოდ, ასეთი გაყალბება და ვითარება აწყობს ყველას, გარდა

ქართველი პატრიოტებისა. საქართველოს არაკეთილმოსურნეებს უნდათ, ორი ძალის მმართველობა დაეკანონდეს.

— ითვლება, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები შედარებით სამართლიანად და ნაკლები დარღვევებით ჩატარდა.


— ამ პოზიციას არ ვეთანხმები. ამ არჩევნებამდე სამი დღით ადრე ნაცნობმა მაცნობა, რომ ნაციონალური მიიღებდნენ 12-დან 15 პროცენტამ-

„ენდიაის კვლევები ყოველთვის ყალბი იყო“

დე, მაგრამ მათ 40 პროცენტს გაუფორმებდნენ. ეს ინფორმაცია ზუსტად ახდა. ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში დაახლოებით 40 პროცენტი აქვს. უბედურება ისაა, რომ არჩევნების გამყალბებლები არ დასჯილან. ცესკოს ყოფილმა თავმჯდომარე ხარატიშვილმა, რომელსაც ფალსიფიკაციაზე პასუხი უნდა ეგო, პრეზიდენტადაც კი იყარა კენჭი, ახლა კი თავისი ორგანიზაცია აქვს და აქტიურობს.

— პოლიტიკური პარტიები ისევ მოითხოვენ სამართლიან არჩევნებსა და ცვლილებებს კანონმდებლობაში.

— ყველა პარტია, რომლებიც ამას მოითხოვენ, ხარისხიანი და მისაღები არ არის, თუმცა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირება სა-



ჭირო მოთხოვნაა. ჩვენი საარჩევნო კანონმდებლობა ბარბაროსულია. ამ კანონებით ნორმალური არჩევნები არ და ვერ ტარდება. სამართლიანი გარემო რომ იყოს, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს თანაბარი სასტარტო პირობები ექნებოდა.

ნოდარ ნათაძე საუბრობს იმაზეც, რომ ქვეყანაში დამანგრეველი პროცესები მიმდინარეობს, ლარის კურსის ვარდნაში კი ხელოვნური ფაქტორებიც გამოიკვეთა:

— ლარის კურსის ვარდნით 150-პროცენტის მოგება ნახეს ბანკებმა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნაციონალურ დანაშაულებას პირია. სხვა ბანკებიც მასთან არიან შეკრული. ისინი აკონტროლებენ საფინანსო სფეროს. ის, რაც ხდებოდა, სპეკულაციების შედეგია. ამან გაყვლივა მოსახლეობა. საბოლოოდ, შევინდათ და ლარის გაუფასურება შეაჩერეს. დამანგრეველ პოლიტიკას ხელისუფლებაც ეწევა.

ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ ქვეყანას მხოლოდ ახალი პოლიტიკური ცენტრი იხსნის:

— თუ არ შეიქმნა პოლიტიკური ცენტრი, რომელსაც პატრიოტები ჩაუდგებიან სათავეში, ქვეყანა უფსკრულისაკენ წავა. ამ ცენტრის გარშემო უნდა შეიქმნას ფართო კოალიცია, რომელმაც უნდა გამოიყვანოს საქართველო ჩიხიდან და გახადოს ის დასავლეთის ნაწილი.

სახალხო ფრონტის ლიდერი დარწმუნებულია, რომ რუსეთი მალე აუცილებლად დამარცხდება.

— ჩვენ რუსეთის მარცხით ვერაფერს მოვიგებთ, თუ საქართველო ისევ ამ ძალების ან ბურჟუაზიისაირი ორგანიზაციების ხელში იქნება. ამიტომ აუცილებელია ახალი კოალიციის შექმნა. ამით საქართველოს გადავარჩენთ, — აღნიშნავს ნოდარ ნათაძე.

გახლოვანება-გახსენება 5-20 აგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი ინჰინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებითი სასურველი წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის პასუხი. სწრაფი და უწყაპური პროგრესი 1-დან 25 წლამდე
კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებები მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-50 ქმთვენი**

მის. მხტრუ „დილაში“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

გია ხუხაშვილი: „ხალხში არაკეთილსინდისიერი შეხედულებაა გამოვლინდა“

დასაწყისი მე-2 გვერდი

— ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი ტელევიზია სახელმწიფოებრივად სახიფათო არ არის. მედიაპროპაგანდა სახიფათო და მიუღებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას აკონტროლებს ხელისუფლება.

— სასამართლოს და მოსამართლის თემაზე რას იტყვით?

— ეს ძალიან სენსიტიური საკითხი. მოსამართლე ურთმეოხე დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. რკინის ნერვები აღმოაჩნდა ამ ადამიანს. მისი მხრიდან ამ საქმის აცილება ყველასთვის კარგი იქნებოდა. თუმცა მან ეს ნაბიჯი არ

გადადგა და ამით ცეცხლზე ნავთი დაასხა. იმ არასერიოზულ კომენტარებზე არაფერს ვიტყვი, რომ თურმე დედა ოჯახის წევრი არ ყოფილა.

— მან ეს სამართლებრივად ახსნა.

— როცა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც დედა ფნომენია, სამართლებრივი კაზუსიტიკით შეცდები შენი უცნაური საქციულის გამართლებას, ეს კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას. დედით შეიღობ დაშანტაჟება არ შეიძლება, ეს არადამაჯერებელი და არაჯანსაღია.

— ამ სიტუაციაშიც ხელისუფლება დაზარალებულია?

— რასაკვირველია! დღეს ნაციონალური



ხადური: „2016 წლის ბიუჯეტი დაკარგულია“



საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურის შეფასებით, 2016 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი „საკმაოდ დაძაბული ბიუჯეტი“.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის მზად არის პარლამენტის წევრებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად განიხილოს ბიუჯეტი.

– პარლამენტის წევრებთან და დაინტერესებულ პირებთან, ასევე იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც საკუთარი, ვთქვათ, მაკროეკონომიკური პროგნოზები აქვთ, დავსაუბრებთ, გავივლით მათ პროგნოზებს, ჩვენ შევთავაზებთ ჩვენს ვარიანტს.

ჩვენ არ გავურბივართ სიძნელეებს, მაგრამ გეტყვით, რომ საკმაოდ დაძაბული ბიუჯეტი. მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-ზე მეტის მობილიზებაა დაგეგმილი მომავალ წელს გადასახადების სახით, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მთავრობამ საქართველოს პარლამენტს ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 5 ნოემბერს უნდა წარუდგინოს.

მაკრონალდსი ღრმა დაკრესიაშია

ფრანშიზას პრინციპით მომუშავე მაკდონალდსის მფლობელები აცხადებენ, რომ პოპულარული სარესტორნო ქსელი ღრმა დეპრესიაშია და მაკდონალდსის რესტორნების დახურვას არ გამოირჩევენ.

იაპონური საინვესტიციო კომპანია „ნომურას“ კვლევის თანახმად, მაკდონალდსის თანამშრომლები კლიენტთა დროულ მომსახურებას ვერ ასწრებენ, აღჭურვილობა გაუმართავია, მენიუ კი – მეტისმეტად მრავალფეროვანი. ამასთანავე, აშშ-ში ქსელის ფრანშიზას მფლობელთა 30%-მდე გადახდელუუნარია.

ბოლო ორი წელიწადია, მაკდონალდსის სწრაფი კვების ობიექტებში გაყიდვების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. სიტუაციის გამოსასწორებლად რესტორანმა ახალი მენიუ შექმნა, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო.

მენიუში ინგრედიენტების დამატების გამო გაიზარდა დატვირთვა მზარეულებზე. მაკდონალდსის კიდევ ერთი სიახლისთვის, რომლის მიხედვითაც კლიენტს პამპურგერის ინგრედიენტების არჩევა თავად შეუძლია, რესტორნის თანამშრომლები მზად არ აღმოჩნდნენ.

– ღრმა დეპრესიაში ვართ და უკეთესობისკენ არაფერი იცვლება, – ამბობს მაკდონალდსის ერთ-ერთი თანამშრომელი.

გამოკითხვის მონაწილეებმა მაკდონალდსის უახლოესი 6 თვის პერსპექტივები 5-დან 1,69 ქულით შეაფასეს. ბოლო 12 წლის განმავლობაში ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსგავსი კვლევების მიხედვით.

იაპონური კომპანიის გამოკითხვაში ქსელის 29 ფრანშიზამ მიიღო მონაწილეობა, რომელიც აშშ-ის მაკდონალდსის 229 რესტორანს აერთიანებს.

მაკდონალდსის სწრაფი კვების რესტორნების შექმნის იდეა ძმებ დიკსა და მაკ მაკდონალდებს ეკუთვნით. პირველი რესტორანი 1940 წელს კალიფორნიის შტატ ქალაქ სან-ბერნარდინოში გაიხსნა.

2010 წლის მონაცემებით, რესტორნების რაოდენობის მხრივ მაკდონალდსი მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. პირველზე კი სწრაფი კვების ქსელი საბავშვია.

ბიბენი



კვარცხის მსხვილი მწარმოებლები წვრილ კომპანიებს უჩივიან

კვერცხის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებს კონკურენციას წვრილი ფერმერები უწევენ. როგორც „კომერსანტი“ კვერცხის მსხვილი მწარმოებლები საუბრობენ, ისინი არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, რადგან წვრილი ფერმერების დიდი ნაწილი დარეგისტრირებული არ არის, ნაწილს კი ნაკლები გადასახადი აქვს, შედეგად მათ მიერ შეთავაზებული პროდუქციის ფასიც ნაკლებია.

კომპანია „პატარძელის“ დირექტორი ოთარ მუჩიაშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ბევრი წვრილი დაურეგისტრირებული რეალიზატორი გამოჩნდა, რაც მათ პრობლემებს უქმნის. მუჩიაშვილი ამბობს, რომ მათი კონტროლი ძირითადად შემთხვევაში არ და ვერ ხდება.

„პატარძელის“ დირექტორის თქმით, ამას ემატება ბაზარზე არსებული რთული სიტუაცია, რის გამოც კვერცხის მწარმოებლები ისედაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.


მუჩიაშვილის თქმით, ლარის გაუფასურების გამო გაუძვირდა უცხოეთიდან შემოსატანი საკვები ფრინველისთვის, რაც საერთო ხარჯის 70%-ს შეადგენს; პროდუქციას კი ფასებს ვერ უმატებენ და ძალიან დაბალი მარჟით უწევენ საქმიანობა.

მცირე ფერმერებისგან შექმნილ პრობლემაზე საუბრობს მეფრინველეობის ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ ურუმბეგაშვილიც.

მისი თქმით, პრობლემა ახალი ხელისუფლების პირობებში წარმოიშვა.

– პრობლემა ძალიან დიდია, თავის დროზე ახალმა ხელისუფლებამ შედეგის გათვლის გარეშე მისცა მათ იაფი კრედიტები. ეს ფაბრიკები ისე არის წარმოქმნილი, რომ მათ ვეტერინარულ სერტიფიცირებას არავენ უტარებს, ფიტოსანიტარიული შემოწმებაც არ აქვთ გავლილი, რომ მათგან დაავადება არ გავრცელდეს, – აცხადებს ურუმბეგაშვილი.

მისივე თქმით, ბოლო პერიოდში მწარმოებლებს ლარის გაუფასურების გამო სერიოზული პრობლემები შეექმნათ, რადგან გაუძვირდათ საქონელი, რომელიც უცხოეთიდან შემოჰქონდათ, ამასთან, გაუძვირდათ სესხები, რომლებიც დოლარში აქვთ აღებული.



მიუხედავად ბაზარზე არსებული რთული მდგომარეობისა, ურუმბეგაშვილი ამბობს, რომ პარლამენტმა არცერთი კანონი არ მიიღო, რომელიც კვერცხის მწარმოებლებს საქმიანობას გაუიოლებდა.

– თვითღირებულება მიუახლოვდა გასაყიდ ფასს და აღარანაირი მარჟა აღარ არსებობს. ამასთან, ვიბეგრებით ყველა შესაძლო გადასახადით, მათ შორის დღ-თი, რეგიონის ქვეყნები კი ამას არ იხდიან. არც ანტიდემპინგური, არც საზღვრის დაცვის ღირსიძებების შესახებ, არც დღეს მოხსნა, არც ანტისუბსიდიური კანონი არ მიუღია პარლამენტს. რას ამბობენ? არაფერს, – აცხადებს ზურაბ ურუმბეგაშვილი.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ-გე

ჯარითი ფასი დაეცა

ბოლო ორი კვირაა, ჯარითის ფასი კატასტროფულად დაეცა.

ჯარითის ჩამბარებელ პუნქტებში 1 ტონა ჯარითს 150-200 ლარად ბიზნესი, რამდენიმე კვირით ადრე კი მისი ფასი 300 ლარს აღწევდა.

ჯარითი მოვაჭრეთა თქმით, ექსპორტი მინიმუმამდე დაეცა, რამაც ფასის კლება გამოიწვია და ეს ბიზნესი საქართველოში დღითიდღე წამგებიანი ხდება.

– წლებია, ამ სისტემაში ვმუშაობ და მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჯარითი კი არ უნდა ბარდებოდეს, ადგილზე უნდა მუშავდებოდეს და რაღაც სასიკეთო იქმნებოდეს. ჩვენ ვცხოვრობთ დღევანდელი დღით. ამ დროს კი ჩვენი ნედლეული სხვა ქვეყნები მდიდრებიან, – აცხადებენ ჯარითის ჩამბარებელ პუნქტებში.

აქ იმასაც ამბობენ, რომ ყველა დასახლების ჯარითზე მოთხოვნა 60-70%-ით შემცირდა.

– საქართველოში ჯარითის ბიზნესმა აზრი დაკარგა. ფასი დაბალია და ამან შესყიდვაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ჯარითის მიმღებ პუნქტებში 10-12 ტონა ჯარითს იბარებდნენ, ახლა 2-3 ტონა ძლივს იღებენ. თურქეთს მოჭარბებულად აქვს საქართველოდან გატანილი ჯარითი და ახლა პაკისტანი და ინდოეთი დაინტერესდნენ ამ ბიზნესით, – აცხადებენ ჯარითი მოვაჭრეები.

ჯარითის ბიზნესი საქართველოში 15 წელს ითვლის, ფერადი ლითონი



ნების ბიზნესი 25 წელზე მეტს აღწევს. ამ წლების განმავლობაში ჯარითის ბიზნესი წარმატებულ საქმიანობად მიიჩნეოდა. ახლა კი, როგორც ამ ბიზნესით დაკავებული ადამიანები ამბობენ, ჯარითითა და ფერადი ლითონებით ვაჭრობა წამგებიანი გახდა.

ამბობენ, რომ ბაზარზე პრობლემები ისედაც იყო და სავალუტო კრიზისის გამო მდგომარეობა ორმაგად გაუარესდა.

პრობლემა აქვთ ჯარითის შემგროვებლებსაც. ისინი ამბობენ, რომ მოსახლეობისგან შესყიდული უფარგისი ტექნიკის რაოდენობა დღითიდღე მცირდება.

– მოსახლეობისგან ჯარითს 15 თეთრად ვყიდულობთ და ჯარითის ჩამბარებელ პუნქტებში 7 თეთრს გვიმატებენ. დაუღალავად ვმუშაობთ, მაგრამ არაფერი გამოგვცის, – ამბობს სერგო ბიბენი.

თიკო გურაშვილი, ბიბენი

საქტემბერში მანქანების ექსპორტი და რეექსპორტი

2015 წლის სექტემბერში მანქანების ექსპორტ/რეექსპორტი მკვეთრად შემცირდა და თითქმის 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელამდე დაეცა.

2015 წლის სექტემბერში ავტომანქანების ექსპორტ/რეექსპორტმა 1.771 ავტომობილი შეადგინა, რაც 465 ერთეულით ნაკლებია აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით.

წლეუანდელ მაჩვენებელთან ყველაზე მიახლოებული რიცხვი 2010 წელს დაფიქსირდა. 2010 წლის სექტემბერში მანქანების ექსპორტ/რეექსპორტმა 2.614 მანქანა შეადგინა.

2011 წელს მანქანების ექსპორტ/რეექსპორტი 3.652 ერთეული იყო, 2012 წელს – 6.556, 2013 წელს – 7.305, ხოლო 2014 წელს – 3.532.

2015 წლის სექტემბერში, ამავე წლის აგვისტოსთან შედარებით, შემცირებულია ავტომობილების იმპორტიც. თუ მიმდინარე წლის აგვისტოში მანქანების იმპორტის მაჩვენებელი 7.525 იყო, სექტემბერში ეს მაჩვენებელი 5.923-მდე დაეცა.

სექტემბერში ავტომობილების იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წლიდან 2015 წლამდე, 2014 წელს დაფიქსირდა და 10.034 ავტომობილი შეადგინა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი 2010 წელს იყო – 4.588.

თამარ კორკოტაშვილი, ბიბენი

ვლადიმერ პაპავა: „ნაბიშიარ დიალოგზე, კომუნიკაციაზე, არანაირი პრობლემა არ მაქვს“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა ნებისმიერი დიალოგისა და კომუნიკაციისთვის მზად არის. ამის შესახებ ლადო პაპავამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა. მისი თქმით, ის, რაც უნივერსიტეტში ხდება, ჩვეულებრივი ამბავია.

ლადო პაპავა:

– უნივერსიტეტი ღიაა და ყველა სტუდენტს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი. მჭიდროდ აქციის მონაწილეთა შორის უნდა იყოს, რომლებიც ჩემს გადადგომას ითხოვენ. მე წავეყნებ 10 პუნქტი, რომლებიც მათ წამოაყენეს და მჭიდროდ საუბარი. ათივე პუნქტი არ იწვევს არანაირ გაუგებრობას და ჩვენ ვართ სრულად თანამოაზრეები.

არ მინდა, რომ ზოგიერთი სტუდენტი აღმოჩნდეს ვინმეს პოლიტიკური ინტერესების იარაღი, დანარჩენი, მიმართა, რომ ეს პროცესები არის ჯანმრთელი, როცა სტუდენტები რაღაცას ითხოვენ და ჩვენ გვაქვს სრული მზაობა, საკითხები განვიხილოთ. მაგრამ არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსებთან.

ჩვენ შევეცდებით, მაგრამ ამას მხოლოდ ჩვენი ძალები არ ეყოფა. იქ არის საკითხები, რომელიც მოითხოვს კანონში ცვლილებებს, მართო ჩვენი ძალები ამას არ ეყოფა. იქ არის მოთხოვნები, რომ ჩვენ შევეცდებით დამოუკიდებელი ფონდი, საუნივერსიტეტო განვითარების, სადაც თანამშრომლები შეიტანენ წვლილს.

მე, პირადად, ასეთი წვლილი განადგურებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის შექმნაში შემაქვს და არა მართო მე, უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორს. თუ ასეთი ფონდი



შეიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები.

მისივე განმარტებით, სტუდენტების ნაწილს, რომლებიც დღეს უნივერსიტეტის ეზოში პროტესტს გამოხატავენ, მან პირადად უთხრა, რომ დაეყენებინათ საკითხი, როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლებს ფონდის შექმნასთან დაკავშირებით და იგი შეერდით დაუდგებოდნენ.

– ნებისმიერ ჯანსაღ დიალოგზე, კომუნიკაციაზე არანაირი პრობლემა არ მაქვს, – განაცხადა ლადო პაპავამ.

რაც შეეხება უნივერსიტეტის საქმიანობით საგამოძიებო უწყებების დაინტერესებას, უნივერსიტეტის რექტორი აცხადებს, რომ თუ ვინმე დაინტერესებულია უნივერსიტეტის მუშაობით, შეუძლია, შევიდეს და ნახოს.

